



აღმოსავლეთ პარტნიორობა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: კახა გოგოლაშვილი

რედაქტორი: პაატა გაფრინდაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრება არის ავტორის პირადი მოსაზრება და არ არის დაკავშირებული იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც ავტორი წარმოადგენს.

შესავლის მაგიერ: მეთოდოლოგიური საკითხები

როცა მომავლის განჭვრეტა გვსურს, წარსული უნდა გავაანალიზოთ და ვნახოთ საიდან მოვდივართ, რა გზა გავიარეთ. რა თქმა უნდა, ასევე საჭიროა დავადგინოთ, თუ სად ვიმყოფებით. ეს მხოლოდ ფილოსოფიური განცხადება არ გახლავთ. ნებისმიერი მეცნიერულად განხორციელებული პროგნოზი სწორედ წარსულის მონაცემებზე და ტენდენციებზეა დამყარებული. ამასთან, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ბევრი ფაქტორის იდენტიფიცირება, რომლებსაც კორელაცია გააჩნიათ ჩვენი სამიზნეული პარამეტრის ცვლილებასთან.

ცნობილია, რომ როცა საკითხი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხება - და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი სწორედ ასეთია, შეუძლებელია იმ ფაქტორების სრულად დადგენა, რომლებიც კავშირშია საბოლოო შედეგთან. თუმცა, ნებისმიერი მკვლევარის და კვლევის მიზანია, რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებული მოდელი შექმნას და მისი საშუალებით ეცადოს ჭეშმარიტების დადგენას. აქვე, მართვის სფეროდან შეიძლება დამატებითი ამოცანა შემოვიტანოთ - კერძოდ, დავადგინოთ, თუ როგორ შეიძლება განვხორციელოთ ზემოქმედება შესაძლო ტენდენციებზე და შესაბამისად, „შეცვალთ“ გარემო ჩვენი მიზნების შესაბამისად. ასევე, მოგვიწევს დამატებით იმის დადგენა, თუ რა ფაქტორებზე (პარამეტრებზე) შესაძლებელია ზემოქმედება და რაზე - არა (უცვლელი პარამეტრები). ბუნებრივია, არ ვაპირებთ რაიმე მათემატიკური მოდელის აღწერას, რომლითაც ზუსტად დავადგენდით, თუ როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ამოცანის გადაწყვეტისთვის ზემოთ მოყვანილი ანალიზის ელემენტების გამოყენება შესაძლებელია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნები და შესაძლებლობები

როდესაც 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობა დაარსდა, გაცხადებულ გეგმებში რაიმე დაპირება იმის შესახებ, რომ ეს ინიციატივა მისი აღმოსავლეთ ევროპელი მონაწილეების ევროკავშირში გაწევრიანების მომზადებას მოემსახურებოდა, არ დაფიქსირებულა. გაცხადებული მიზნები მხოლოდ მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციასა და პოლიტიკურ

ასოცირებას გულისხმობდა.¹ ამ ორი მიზნის მისაღწევად ორმხრივი და მრავალხრივი თანამშრომლობის განზომილება (track) გამოიყენებოდა - თემატური პლატფორმები, რომლებიც ოთხი ძირითადი მიმართულებით თანამშრომლობისთვის შეიქმნა² და ე.წ. ორმხრივი თანამშრომლობის განზომილების ხუთი სვეტისგან³ შემდგარი ერთობლიობა.

ცხრილი 1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის სტრუქტურა

მრავალხრივი განზომილება	ორმხრივი განზომილება
თემატური პლატფორმები	
I. დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა	ახალი საკონტრაქტო ურთიერთობები (ასოცირების შესახებ შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით)
II. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა	ევროკავშირის ეკონომიკაში თანდათანობითი ინტეგრირება
III. ენერგოუსაფრთხოება	ენერგოუსაფრთხოება
IV. ადამიანებს შორის კონტაქტები	მობილურობა და უსაფრთხოება
პანელები (თემატური პლატფორმების ფარგლებში)	ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა
<i>I. პლატფორმა</i> - საზღვრის ინტეგრირებული მართვა - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა - ადმინისტრაციული რეფორმა	
<i>II. პლატფორმა</i> - მცირე და საშუალო ბიზნესი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დაახლოება - გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება	
საფლაგმანო ინიციატივები: მცირე ბიზნესი; ენერგეტიკა; გარემოს დაცვა; ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფებისათვის მზადყოფნა და მათი თავიდან აცილება; საზღვრის	

¹ იხილეთ: http://collections.internetmemory.org/haeu/20160313172652/http://eeas.europa.eu/eastern/docs/com08_823_en.pdf

² იხილეთ: http://collections.internetmemory.org/haeu/content/20160313172652/http://eeas.europa.eu/eastern/platforms/index_en.htm

³ იხილეთ: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/419/eastern-partnership_en

ინტეგრირებული მართვა; მდგრადი მუნიციპალური განვითარება.	
---	--

მრავალხრივი განზომილება თანამშრომლობის ინკლუზიურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც რეგიონული ხასიათისაა, ხოლო ორმხრივი მიმართულება - ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ექსკლუზიური, დიფერენცირებული ფორმა გახლავთ, რომელიც მხოლოდ ევროკავშირსა და ერთ კონკრეტულ პარტნიორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ეხება. თანამშრომლობის მრავალხრივი განზომილება არ გულისხმობს ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში რაიმე სახის ინსტიტუციური ცვლილების შეტანას. ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, ამ მხრივ, ნაკლებად შეზღუდულია, რადგან მის სიღრმეს მხოლოდ ორი სუბიექტის ერთობლივი ინტერესი და პარტნიორ ქვეყანაში მიღწეული პროგრესი განსაზღვრავს.

ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობა და დაახლოება ამ ორი განზომილების სფეროში მიმდინარეობს. ევროკავშირში ცხადად საუბრობენ იმაზე, რომ არ განიხილება ახლო მომავალში აღმოსავლეთ პარტნიორებისთვის რაიმე ახალი როლის (კერძოდ კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის) მინიჭება ან მათი მხარდაჭერისთვის რაიმე ახალი ინსტრუმენტის გამოყენება⁴. თუმცა, ევროკავშირის გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიაში ნათქვამია⁵, რომ ახლო მომავალში ევროკავშირმა შესაძლოა გადახედოს თავის სექტორულ და რეგიონულ სტრატეგიებს. შესაბამისად, ამ მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკა ხისტად კრისტალიზებული არ არის, თუმცა, ის თუ რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს, ასევე, ჯერ არ დაუდგენიათ. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცვლილებები ჯერ კიდევ „მართვადია“ და შესაძლოა მათზე გავლენის მოხდენა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანს მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება არ წარმოადგენს, მხოლოდ ცხრილი 1-ში მოყვანილი თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენება გაწევრიანების მსურველი ქვეყნისთვის

⁴ თუმცა არსებობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებისთვის დაფინანსების გაზრდის გარკვეული პერსპექტივა „მდგრადი განვითარების ევროპული ფონდის“ მეშვეობით, რომელიც ევროკავშირის მთლიანი სამეზობლოსა და აფრიკის ქვეყნებში განვითარების მხარდასაჭერად იქმნება. იხილეთ: https://ec.europa.eu/europeaid/eu-external-investment-plan-factsheet_en

⁵ იხილეთ: https://eeas.europa.eu/archives/docs/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf . გვ. 51

ლოგიკურად საკმარისი არ იქნება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ვეცადოთ დავადგინოთ, თუ რა ხარისხით იძლევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მომზადების საშუალებას. ამის დასადგენად, პირველ რიგში, საჭიროა, შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, რასაც მომდევნო თავებში შევეცდებით.

გაწევრიანებისთვის საჭირო პირობები

რა უმთავრესი პირობების დადგომაა საჭირო, რომ ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანდეს?

სამი მთავარი პირობაა, რომელთა არსებობაც დადასტურებულია ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმებებითა და ყველა წინა გაფართოების პრაქტიკით:

- გეოგრაფიული კრიტერიუმის დაკმაყოფილება (C1);⁶
- ქვეყნის მზადყოფნა (მომზადება) გასაწევრიანებლად (C2);
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნება/დაინტერესება (C3).

გეოგრაფიული კრიტერიუმი (C1), შეიძლება ითქვას, რომ აღარ წარმოადგენს რაიმე დაბრკოლებას მას შემდეგ, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ჩაიწერა, რომ საქართველო აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოა, რაც ევროგაერთიანების შესახებ რომის ხელშეკრულების 49-ე მუხლს⁷ (გაწევრიანების განაცხადის უფლება) ეხმიანება. დანარჩენი ორი - C2 და C3, აგრეგირებული პირობებია, რომლებიც შესაძლებელია დაიშალოს მრავალ ქვეპირობად და კომპონენტად. ამ ქვეპირობებისა და კომპონენტების ერთობლიობა განსაზღვრავს სწორედ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას/შანსს.

⁶ ავტორის შენიშვნა: C “Condition“ - „პირობა“ შემოღებულია ავტორის მიერ ტექსტში გამოყენებული ტერმინების გამარტივების მიზნით.

⁷ ანალოგიურად ევროკავშირის შესახებ შეთანხმების კონსოლიდირებული ვერსიის 49-ე მუხლი. http://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:2bf140bf-a3f8-4ab2-b506-fd71826e6da6.0023.02/DOC_1&format=PDF

როგორ შევაფასოთ ქვეყნის მზადყოფნა (მომზადება) გასაწევრიანებლად

C2 პირობის შესრულების ზუსტი დონე ობიექტურად ვერ დადგინდება, რადგან მისი შემადგენელი ელემენტების ფორმალიზება სრულად ვერ მოხერხდება. მაგალითად, თუ ევროკავშირის კანონმდებლობის სრული ტრანსპოზიციის ვალდებულება შეიძლება კანონმდებლობის 35 თავის დანერგვითა და მოლაპარაკებების ამით დასრულებით განისაზღვროს, ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორებიცაა პოლიტიკური ფასეულობების პატივისცემა და დაცვა, ან ფუნქციური საბაზრო ეკონომიკის არსებობა, შესაძლოა ითხოვდეს საექსპერტო შეფასებას, ან შედარებითი ანალიზის მეთოდებს, რომლებიც ხშირად არ ეფუძნება რაოდენობრივ და ადვილად დათვლად მონაცემებს.

მიუხედავად ამისა, მაკრო დონეზე შესაძლებელია იმ ძირითადი ელემენტების გამოყოფა, რომელთა არსებობამაც მთლიანობაში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზადყოფნა უნდა განსაზღვროს. შესაბამისი კრიტერიუმით დადგენილი პირობა შეიძლება დავშალოთ შემადგენელ ნაწილებად და ისე განვსაზღვროთ მისი შესრულების ხარისხი. C2 პირობას, რომელიც ქვეყნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადებას ეხება, შედარებით იოლად დავშლით ელემენტებად, რისთვისაც შეგვიძლია მარტივად გამოვიყენოთ უკვე ნაცადი „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“.⁸

შევეცადოთ დავინახოთ, თუ რა კომპონენტებად იშლება C2 პირობა და ვნახოთ რამდენად (რა რაოდენობით) ფარავს ის აღმოსავლეთ პარტნიორობის (კერძოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმების - AA) ჩარჩოს იგივე საკითხებს. **ცხრილი 2-ის** მეორე სვეტში მოცემულია კოპენჰაგენის კრიტერიუმების გაშლა (დეტალიზაცია) უფრო კონკრეტულ საკითხებად. სულ არსებული სამი კრიტერიუმიდან თითოეული დეტალიზებულია რამდენიმე შემადგენელ ქვე-კრიტერიუმად (მოთხოვნად). აქვე, მესამე სვეტში მოყვანილია მათი შესაბამისი (მსგავსი) მოთხოვნები და ვალდებულებები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან (AA). ბოლო სვეტში კი დათვლილია ამ ორი სახის მოთხოვნების შესაბამისობის ხარისხი (კოეფიციენტი) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. კოეფიციენტების დაჯამებით ვიღებთ კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების

⁸ იხილეთ: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/conditions-membership_en

მოთხოვნების თანხვედრის მაჩვენებელს, რომელიც მხოლოდ მიახლოებით და ავტორის სუბიექტური ექსპერტიზით დავადგინეთ.

მიღებული სიდიდე - 6.1 (მაქსიმუმ ათიდან) გვიჩვენებს, რომ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებებისა და მათით გათვალისწინებული თანამშრომლობის შედეგად შესაძლოა 61%-თ დავუახლოვდეთ მომზადების იმ დონეს, რომელიც აუცილებელია ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ესე იგი, ასოცირების შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანებზე დამატებით საჭირო იქნება ძალისხმევის გაწევა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება, საერთაშორისო და ევროკავშირის ბაზრებზე ჩვენი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის დივერსიფიცირება (დამატებითი დარგების განვითარება). ასევე, აუცილებელი იქნება ადამიანური და სოციალური კაპიტალის გაუმჯობესება, ევროკავშირის კანონმდებლობის ოცდათხუთმეტივე თავის გადმოტანა ჩვენს კანონმდებლობაში, ინფლაციის დონის, გაცვლითი კურსის, საბიუჯეტო დეფიციტის, საგარეო ვალისა და საბანკო პროცენტის საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნება მაასტრიქტის კრიტერიუმებით განსაზღვრულ ჩარჩოებში.

ცხრილი 2. AA-ს მოთხოვნების შედარება კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან

კოპენჰაგენის კრიტერიუმები C2	კრიტერიუმების დეტალიზება გაშლა /C2.1/	AA- მოთხოვნები /C2.2/	თანხვედრის დონე C2.1-სა და C2.2-ს შორის
პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობა, რომლებიც დემოკრატიას გარანტირებულად უზრუნველყოფს; კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და უმცირესობების დაცვა;	სამართლიანი არჩევნები, ძალაუფლების დაყოფა	სამართლიანი არჩევნები, ძალაუფლების დაყოფა	1
	სასამართლო სისტემა, პოლიცია, თავისუფლებები, დეცენტრალიზაცია	სასამართლო სისტემა, პოლიცია, თავისუფლებები, დეცენტრალიზაცია	1
	კარგი მმართველობა	კარგი მმართველობა	1
	ევროპის საბჭოს კონვენციები, სხვა საერთაშ. დოკუმენტები	ევროპის საბჭოს კონვენციები, სხვა საერთაშორისო დოკუმენტები (AA შესავალი და I თავი)	1
ფუნქციური საბაზრო ეკონომიკა და უნარი, რომ გაუძლოს კონკურენციასა და საბაზრო წნეხს ევროკავშირში	მაკროეკონომიკური გარემო, ეკონომიკური განვითარება	მაკროეკონომიკური გარემო, ეკონომიკური განვითარება. თანამშრომლობა (AA, მუხლი 276 და 277)	0.5
	გლობალური კონკურენტუნარიანობა	პირდაპირი ვალდებულება არ არსებობს. თანამშრომლობა კონკურენტუნარიანობის ამადლებისთვის (AA, მუხლი 314 და 332)	0.3
	სამრეწველო/სავაჭრო დივერსიფიკაცია	ვალდებულება არ არსებობს	0
	სიღარიბე, ადამიანური და სოციალური განვითარება	სიღარიბე, ადამიანური და სოციალური განვითარება (მოთხოვნის დონე არ არის ისეთივე მაღალი)	0.5
ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების დაცვის შესაძლებლობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ჩათვლით.	Acquis-ის ტრანსპოზიცია	AA/DCFTA-თ განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოება	0.5
	სტაბილურობის პაქტი, მასტრიხტის კრიტერიუმები (სრული შესრულება)	პირდაპირი ვალდებულება არსებობს (ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს. AA, მუხლი 277)	0.3
გადაფარვის ქულა			6.1
მაქსიმალური ქულა			10

საქართველოს გაწევრიანებით ევროკავშირის დაინტერესების/ნების დადგენა

C3 პირობა ევროკავშირის დონეზე ან 0-ია ან - 1. ანუ, ის ან არსებობს ან - არა. 28 წევრი ქვეყნიდან ფორმალურად ერთიც თუ წინააღმდეგია ახალი წევრის მიღებისა, გაფართოება ვერ შედგება. ასეთ შემთხვევაში პირობა C3, ნულის ტოლია. თუმცა ეს (პირობითი) ნული, შესაძლოა რეალურად 0.9-ს უდრიდეს და სულ ცოტა აკლდეს იმისთვის, რომ ერთი გახდეს. რომ განვსაზღვროთ, თუ რამდენად ახლოს ვართ იმ მდგომარეობასთან, როცა C3-ს სიდიდე ერთის ტოლია, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ, თუ რამდენი ქვეყანა გვიჭერს მხარს და რამდენი - არა. აღნიშნულის ცოდნა მნიშვნელოვანია, რადგან თუ იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც ჩვენს გაწევრიანებას მხარს არ უჭერს, მცირეა, დიპლომატიური მცდელობების შედეგად, და, რა თქმა უნდა, მხარდამჭერი ქვეყნების ჩართვით და დახმარებით, შესაძლოა სკეპტიკოს სახელმწიფოებს აზრი შევაცვლივინოთ.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელია ის ქვეყნები, რომლებიც მხარს არ გვიჭერენ ან პირიქით, მხარს უჭერენ ჩვენს გაწევრიანებას ევროკავშირში, და, რა გავლენა აქვთ მათ ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე.

როდესაც ქვეყანა წინააღმდეგია ახალი ქვეყნის (მაგალითად საქართველოს) მიღებისა ევროკავშირში, აქ ორი ფაქტორის დადგენა და შეფასებაა მნიშვნელოვანი:

- რამდენად გავლენიანია ეს ქვეყანა
- რამდენად (რა ხარისხით) მტკიცეა მისი წინააღმდეგობა

პირველი ფაქტორის დადგენა, ასე თუ ისე შესაძლებელია, თუ ამისთვის გამოვიყენებთ ევროკავშირის საბჭოში უმრავლესობით, კენჭისყრის ძველი წესის (ანუ, ნიცის შეთანხმებიდან (2001) ლისაბონის კენჭისყრის მუხლების ამოქმედებამდე (2017) არსებული ხმების განაწილება ქვეყნებს შორის) შესაბამისად წევრი ქვეყნებისთვის მინიჭებული ხმების ცხრილს. ეს სისტემა, რა თქმა უნდა, ვერ მოგვცემს მაღალი სიზუსტით შესაბამისი ქვეყნის ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე გავლენის დადგენის შესაძლებლობას, მაგრამ უხეში გათვლებისთვის (როგორც უმეტესად ხდება პოლიტიკასა და დიპლომატიაში) მეთოდი სრულად მისაღებია.

მაგალითად, გერმანიისა და დანარჩენ სამ უდიდეს სახელმწიფოს ევროკავშირის საბჭოში (საბჭო) კენჭისყრისას თითოეულს 29 ხმა ჰქონდა მინიჭებული, ხოლო ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორცაა ლატვია, ესტონეთი და კვიპროსი 4, ხოლო მალტას - 3 ხმა.⁹ ხმების ეს თანაფარდობა არც ეკონომიკური სიძლიერის და არც მოსახლეობის რაოდენობის ზუსტად პროპორციული არ არის, მაგრამ ბევრი რთული გათვლებისა და არგუმენტების განხილვის შედეგადაა მიღებული. ამიტომ, ასევე, ზოგადად და უხეშად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტული ქვეყნის „გავლენა“ ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე დაახლოებით საერთო კალათაში მისი ხმების წილის ტოლია. შესაბამისად, ჩვენი გაწევრიანების მიმართ ევროკავშირის საერთო ინტერესის დონის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი და უხეშად დავადგინოთ C3 პირობის ერთთან მიახლოების ხარისხი.

რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით აქ ძალზე გამარტივებულ ლოგიკას ვიყენებთ. ამასთან, რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები, რომ ახალი წევრების მიღება კონსენსუსით ხდება. მიუხედავად ამისა, „პატარა“ ქვეყნებს ევროკავშირის საბჭოში გადაწყვეტილებების მიღებისას შედარებით იოლად „იყოლიებენ“ ხოლმე (როგორც ეს მოხდა ბოლო გაფართოებისას ირლანდიის შემთხვევაში), „გარიგების“ გზით - მათაც ხომ სჭირდებათ ხოლმე რაიმე მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მხარდაჭერა დიდი ქვეყნების მხრიდან, რომელთა გარეშეც, პრაქტიკულად, არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება? აღსანიშნავია, რომ ეს პრაქტიკა მუშაობს, თუ წევრ ქვეყანას (დიდია ის თუ პატარა) არ აქვს რაიმე მისთვის ძალიან პრინციპული ან სასიცოცხლო მნიშვნელობის არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ ახალი ქვეყანა გაწევრიანდეს ევროკავშირში. მაგალითად, მაკედონიის მიმართ, რომელიც კანდიდატი სახელმწიფოა, ასეთ პრინციპულ წინააღმდეგობას იჩენს საბერძნეთი, კერძოდ ის მოითხოვს, რომ მაკედონიამ სახელი შეიცვალოს.¹⁰

ცხრილი 3-ში ზემოთ ახსნილი მეთოდოლოგიის საფუძველზე დათვლილია ხმების ის რაოდენობა, რომელსაც საქართველო მიიღებდა, გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირში უმრავლესობით და ძველი სისტემით რომ ხდებოდა დღეს. ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, რა თქმა უნდა,

⁹ იხილეთ:

http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-03-23_en.htm

¹⁰ იხილეთ:

<https://www.theguardian.com/world/2017/jun/13/macedonias-nato-hopes-rise-as-deal-with-greece-looks-feasible>

ვარაუდებზე და ასე თუ ისე ცნობილ ფაქტებზეა დამყარებული. თუმცა, ყველა შემთხვევაში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ დადებით ნებას ქვეყნები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოავლენენ, თუკი C2 პირობა საკმარისი ხარისხით დაკმაყოფილდება.

მოცემულ ცხრილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, როგორც მინიმუმ, ნახევარი არ იქნება წინააღმდეგი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისა (14 ქვეყანა), გადაწყვეტილებაზე მათი „გავლენის“ მოხდენის შესაძლებლობა 355-დან 158 ქულით შეფასდა, რაც დაახლოებით 45%-ს უდრის. კვალიფიცირებული უმრავლესობით გადაწყვეტილებას, ძველი სისტემით, ხმების 2/3 ესაჭიროება (235 ხმა), და ამიტომ, თუკი თანმიმდევრულები ვიქნებით ჩვენს გათვლებში, ვნახავთ, რომ 77 ხმა „გვაკლდება.“

ცხრილი 3. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერის დონის დადგენა

ქვეყანა	ქულა საბჭოში კენჭისყრისას	უჭერს თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას	შედეგი
გერმანია	29	0	
საფრანგეთი	29	0	
გაერთიანებული სამეფო	29	1	29
იტალია	29	0	
ესპანეთი	27	0	
პოლონეთი	27	1	27
რუმინეთი	14	1	14
ნიდერლანდები	13	0	
საბერძნეთი	12	1	12
პორტუგალია	12	0	
ბელგია	12	0	
ჩეხეთი	12	1	12
უნგრეთი	12	1	12
შვედეთი	10	1	10
ავსტრია	10	0	
ბულგარეთი	10	1	10
ფინეთი	10	0	
დანია	7	0	
სლოვაკეთი	7	1	7
ირლანდია	7	0	
ლიტვა	7	1	7
ხორვატია	7	1	7
ლატვია	4	1	7

სლოვენია	4	1	4
ესტონეთი	4	1	
კვიპროსი	4	0	
ლუქსემბურგი	4	0	
მალტა	3	0	
სულ	355	14	158
			45%

ამ მეთოდით ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებით დაინტერესების აგრეგირებული სიდიდე, რომელიც შეწონილია ცალკეული წევრი ქვეყნის „გავლენის შესაძლებლობის“ მიხედვით. ამ მეთოდის გართულება შესაძლებელია, მაგალითად ქვეყნების პოზიციების უფრო მოქნილი სქემის შემოღებით, ვიდრე მარტივი „უჭერს/არ უჭერს“ მიდგომაა. მაგალითად, ექსპერტული შეფასებებით შესაძლოა დავადგინოთ, თუ რა ხარისხით უარყოფს ან მხარს უჭერს გაწევრიანების გადაწყვეტილებას ესა თუ ის ქვეყანა. ეს სიდიდე შესაძლოა არა მარტივად ნული (არ უჭერს) ან ერთი (უჭერს) იყოს, არამედ ნებისმიერი სიდიდე ნულიდან ერთამდე. ასეთი გათვლების გამოყენებით, რა თქმა უნდა, უფრო ობიექტურ სურათს მივიღებთ და შედარებით უფრო ზუსტად გვეცოდინება, თუ სად ვდგავართ გაწევრიანების კრიტერიუმების დაკმაყოფილების გზაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

- პოლიტიკის დოკუმენტში შევეცადეთ შეგვემუშავებინა მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც, საშუალებას მოგვცემს მეტი სიზუსტით დავადგინოთ ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივა, გამოვყოთ მეტ-ნაკლებად პრობლემური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესზე;
- დოკუმენტი აანალიზებს, თუ რამდენად ქმედითი ინსტრუმენტია აღმოსავლეთ პარტნიორობა და, კერძოდ, ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად;

- ნაშრომში იდენტიფიცირდა რეფორმებისა და მოდერნიზაციის ის მიმართულებები, სადაც მოგვიწევს დამატებითი ძალისხმევის გაწევა ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან პარალელურად ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად;
- ინოვაციური მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ, თუ რა რეალური გავლენა აქვთ ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღებაზე იმ ქვეყნებს, რომლებიც ზოგადად, დადებითად უყურებენ საქართველოს გაწევრიანებას;
- შემოთავაზებული მეთოდოლოგიის გამოყენება შესაძლებელია ამოცანების მეტად „ჩაშლის“ და დეტალიზების პირობებშიც;
- მნიშვნელოვანია მეტი ექსპერტის აზრის გათვალისწინება შეფასებების გაკეთებისას, რომ საბოლოო ჯამში მივიღოთ უფრო ობიექტური პასუხი იმაზე, თუ სად და რა დოზით მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა, როგორც საგარეო ასპარეზზე, ასევე შიდა რეფორმებისა და პოლიტიკის სფეროში, იმისთვის რომ ეფექტურად განვახორციელოთ ჩვენი მთავარი ამოცანა - ევროკავშირში გაწევრიანება;
- ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შედგენისას აუცილებელია მკაფიოდ დადგინდეს და გამოიყოს ის ამოცანები და ქმედებები, რომლებიც ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მიზნებს სცდება და მთავრობისა და საზოგადოებისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს;
- ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ ევროპული ინტეგრაციის სფეროში გადაწყვეტილებები მიიღებოდეს მეცნიერული და ანალიზის სხვა მეთოდებით მიღებული მასალებისა და მონაცემების საფუძველზე. ამისთვის საჭიროა ქვეყანაში გადაწყვეტილებების მიმღებთა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა საექსპერტო და სამეცნიერო საზოგადოებასთან. ასევე, საჭიროა ამ წრეებს შორისაც მეტი კოორდინაცია და კონსოლიდაცია.